ეს დოკუმენტები გუშინ მთანმნ-და-კრწანისის პროკურატურას გა-დასცეს. იმედი მაქვს, რომ გამოძიება სიმართლეს დაადგენს. ადგილი აქვს აშკარა უკანონობას. როგორ შეიძლე-ბა, ორდერის მფლობელი მოქალაქე

ბნინდან გაასახლო?!

მოვითხოვ, მომცენ ჩემს სარდაფში ცხოვრების უფლება, ან დამბრუნონ ის სახლი, რომელიც პაპაჩემს გადასა-ხლებამდე წაართვეს, ან მომცენ ლტოლ-ვილის სტატუსი, კომპენსაცია და თავ-შესაფარს სხვა ქვეყანაში ვიპოვი. თუ ჩემს მოთხოვნებს არ შეასრულებენ, სა-შიშმილოდ ბავშვებს დავცვამ!”

საცხოვრებელი სადგომის მესაკუთ-რეებსა და მოსარგებლებს შორის ტრადი-ციული კეთილშეზობლური დამოკიდებუ-ლება ბოლო წლებში შეიცვალა, როცა მე-საკუთრემ მოსარგებლის გასახლება მო-ინდომა, სახელმწიფომ კი მათი უფლებე-ბის დაცვა დღემდე ვერ შეძლო.

მოშიშმილეს სოლიდარობას უცხა-დებენ “ბინის მემკვინთა უფლებების დაც-ვის კავშირის” წევრები. ისინი მოითხოვენ შესაბამისი კანონმდებლობის სრულყო-ფას. მანამდე კი –მორატორიუმს, რაც მოქალაქეებს ქუჩაში გაყრისაგან დააზლ-ვევდა.

“24 საათი”

თბილისში მოხალისეთა რიცხვი მატულობს

თამარ დვალის

12 აპრილს მსოფლიო მოზარდ-მოხალისეთა დღეს აღნიშნავს. ეს დღე საქართველოში გუშინ პირველად აღინიშნა. ამ იდეის ავტორები და ორგანიზატორები თავად მოხალისე ბავშვები არიან. ისინი დიდებუში, ვორონინის ქუჩაზე მდებარე მოზარდთა სახლში სწავლობენ. აქ მოზარდები სხვადასხვა სპეციალობას უფასოდ ეუფლებიან. დროთა განმავლობაში, ისინი ლიდერებად ყალიბდებიან და საკუთარ კლუბებს აარსებენ. გუშინ ზუგდიდისა და თბილისის მოხალისეებმა ფირზე აღბეჭდილი საკუთარი შემოქმედება გამოფინეს და უფერული კედელი სიმბოლურად მოხატეს.

ეკა ქარდავა ერთ-ერთი იმ ბავშე-თაგანია, რომელმაც აფხაზეთი მისი დაცემის დღეს, 27 სექტემბერს და-ტოვა. უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს კერძო მასწავლებლის აყვა-ნის შესაძლებლობა არ ჰქონდა. ეკამ თავისი სწავლის პრობლემა თეი-თონვე მოაგვარა. “ჩემი მეგობრის-გან შევიტყვე, რომ არსებობდა სახ-ლი, სადაც უფასოდ სწავლას შეეძ-ლებოდა. აქ უამრავი სექციაა და თით-ქმის ყველგან ჩავეწერე. პირველ რიგში უცხო ენები - ინგლისური და ესპანური ვისწავლე. იმ ბავშვებმა,



მოზარდი - მოხალისები

რომლებმაც სასწავლო კურსი და-ვამთავრეთ, ლიდერთა კლუბი ჩამო-ვაყალიბეთ. ახლა ჩვენ მოხალისეები ვართ და უკვე სხვებს ვასწავლით. მე კინოკლუბის ლიდერი ვარ, სადაც ინ-გლისურენოვან ფილმებს ვაჩვენებთ და შემდეგ დისკუსიას ვმართავთ. ასევე, გავდივართ უპატრონო ბავშე-თა სახლებში და გარკვეულ ღონის-ძიებებს ვატარებთ,” - გვითხრა ეკამ.

მოზარდთა სახლი ნ წლის წინათ, ამერიკული საერთაშორისო ორგანი-ზაცია “ამქორისა” და “USAD” მიერ

დაარსდა. ასეთივე სახლებია სამეგ-რელოში, ოჩამჩირესა და სოხუმში. როგორც თბილისის მოზარდთა სახ-ლის ხელმძღვანელმა ნანა დოლიაშ-ვილმა გვითხრა, ამ პროგრამის უმ-თავრეს მიზანს ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარება წარმოად-გენს. “ჩვენდა სამწუხაროდ, აფხაზი და ქართველი ბავშვების შეხვედრა საქართველოს ტერიტორიაზე არ ხერხდება. ისინი ყოველ წელიწადს ნეიტრალურ ტერიტორიაზე, ერე-ვანში ხვდებიან ერთმანეთს. ბოლო

შეხვედრისას გავგეგმეთ, რომ ჩვენი ურთიერთობის გასაღრმავებლად 4 ერთობლივ პროექტს განვახორციე-ლებთ. ახლო მომავალში, ჩვენი ჟურ-ნალისტიკის სექციის ბავშვები ერ-თობლივ დოკუმენტურ ფილმს გადა-იღებენ. მინდა აღვნიშნო, რომ წარ-მოქმნილ კონფლიქტს ორივე მხარის ახალგაზრდობა ძალიან მზვავედ გა-ნიცდის. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ პრობლემის გადანყვეტა მათ ხელში ყველა ბავშვს შეუძლია ის-წავლოს. მოზარდთა სახლი ერთგვა-რი კოლეჯის ფუნქციას ასრულებს. აქ უამრავი დარგია. მათ ბავშვები თავისი სურვილის მიხედვით ირჩე-ვენ. როგორც თავად ბავშვებმა გა-ნაცხადეს, ამ სახლში მათ სხვა მეწ-ტალიტეტი ჩამოუყალიბდათ. უფრო დამოუკიდებლები და მონდომებუ-ლები გახდნენ. აქვე არსებობს ეკო-კლუბი. მისი წევრები ქალაქის და-სუფთავების ინიციატივით გამოდი-ან და სხვა ბავშვებსაც მოუწოდებენ, მათ მიბაძონ. ზაფხულში მოზარდთა სახლის ლიდერები თბილისის ზღვას დაასუფთავებენ.

ტელეკაზინოს გათავაზების შედეგები20⁵⁰ - 0

თავაზის ნუსაჰი

ტელეკაზინოში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მაცდისა და ჯეოსელის აბონენტებს.

აპრილეთ 8 07 07, შემდეგ დასადები თამშის შესაბამისად აპრილეთ რომელიმე რიცხვი 1-დან 5-მდე, ბოლოს თქვენ მიერ არჩეული ფსონის დასადები ადგილის შესაბამისად აპრილეთ რომელიმე რიცხვი 00-დან 36-მდე.

მაგალითად, თუ თქვენ აპრილეთ 8 07 07 312, ე.ი. თქვენ დადეთ 3 ლარი 12-ზე. დარეკვა შესაძლებელია წინა ტირაჟის დამთავრებისთანავე და შეწყდება მორიგი ტირაჟის დაწყებისას.

მოგებული გამოვლინდება "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში რულეტის დატრიალებით ორშაბათიდან პარასკევის ჩათულით 14.50, 19.50 და 22.45 საათებზე, ხოლო შაბათს 20 საათისა და 45 წუთზე.

თუ თქვენ მოიგებთ, მოგებული თამაი თხოუმეტვერ მეტია დადებულ თამაზე.

თამშის მისაღებად მობრძანდით რუსთაელის 3-ში ტელეკაზინოს ანტარიშმწორების ცენტრში. თან თქონით პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ტელეფონი, რომლიდანაც გავეთდა ზარი.

თქვენ მიერ მოგებული სრული თამშის გასაგებად დარეკეთ 822 20 07 07.

თქვენი მოგებული თამშის მობილური ტელეფონის ბალანსზე გადისატანად დარეკეთ 822 20 07 08.

ინფორმაციისთვის დარეკეთ 09 ან 82209.

კპირის განავალუვაჰი განავაჰვევალუ მოთავაშეჰი მონაწილუვაჰი მიიღებენ 10 000 ლარის გათავაშევაჰი, რომელიც გაიგაერთება ყოველ კპირას 20 საათისა და 45 წუთზე.

10 000 ლარის მოგების ზანსი კპირის განავალუვაჰი მოგავალუი თანხის პრემიაციულია.

ახალი თავაჰი რუსთავი2-ის ეთერში

ტელეკაზინო

14.50, 19.50 და 22.45 საათებზე

ოპერა ხვდება ჯაზს "აქარა მიუზიკ ჰოლში"

პირველად თბილისში მაიკ დელ ფეროს ორიგინალური პროექტი



მაიკ დელ ფერო

პირველი გავრცელება

პიანისტი, კომპოზიტორი და არანჟირების ოსტატი მაიკ დელ ფერო ცოტა ხნის წინათ American Voices-ის ჯაზ-პროგრამების დირექტორად დანიშნეს. თვითონ American Voices დამოუკიდებელი მუსიკალური ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არსებულ აშშ-ს საელჩოებთან ერთად აწყობს კონცერტებს და ამერიკული მუსიკის ერთგვარ პროპაგანდას ეწევა. სწორედ American Voices-სა და საქართველოში ამერიკის საელჩოს თანამშრომლობის შედეგია დღევანდელი საღამოც, რომელიც თბილისში პირველად იმართება. თავად მაიკ დელ ფეროსათვის კავკასია უცხო მხარე არ არის. მუსიკოსი ძირითადად საქმიანობის ფარგლებში კოორდინირებს შემოქმედებით პროგრამებს American Voices-თვის, ბაქოში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თბილისიდან თავის ტრიოსთან ერთად იგი ერევანში მიემგზავრება, სადაც მონაწილეობას მიიღებს ლონისძიებაში Jazz from J to Z and Bel Canto for Jazz History Month. "კავკასიური ტურნესთვის" ტრიოს შემადგენლობა ასეთია: მა-

იკ დელ ფერო (პიანისტი, კომპოზიტორი), იასუჰიტო მორი (კონტრაბასი), როი დაკუსი (დასარტყამი ინსტრუმენტი).

პროექტი, რომლითაც დღეს ამერიკელი მუსიკოსები თბილისელების წინაშე წარსდგებიან პირველად შარშან იაპონიაში გაიტანა მაიკ დელ ფეროს ტრიომ და პრესის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კონცერტები საკმაოდ წარმატებული გამოვიდა. იგივე პროგრამით ტრიო იაპონიაში გამგზავრებას ამ ზაფხულსაც აპირებს.

მაიკ დელ ფერო 1965 წელს ამსტერდამში, ოპერის მომღერალ ლეონარდო დელ ფეროს ოჯახში დაიბადა (ლეონარდო დელ ფეროს 1958 წელს მიღებული აქვს მონაწილეობა მარია კალასის ერთ-ერთ ჩანაწერში). ოპერის მომღერლის შვილი საოპერო და კლასიკური მუსიკის გარემოში გაიზარდა. "ჩემი ადრეული ბავშვობის მოგონებებში არის მამა, რომელიც მღეროდა ყველგან – კონცერტებზე, სახლში, რესტორნებში, მეგობრებთან, ჩემს ირგვლივ ყველგან მხოლოდ ბელკანტო ისმოდა. მაგრამ, როდესაც გავიზარდე, აღმოვაჩინე ჯაზი და თანამედროვე მუსიკა და შევძელი ჯაზის დაკვრა. უმეტესობა ამ მელიდებისა მოდის

ბროდვეის მიუზიკლებიდან, რაც ყოველთვის იყო ჯაზის მუსიკოსთა შთაგონების წყარო", - ამბობს თავად მუსიკოსი.

მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა დელ ფერომ ჯაზი აღმოაჩინა, გადაწყვიტა სერიოზულად მოეკიდა მისთვის ხელი. ამ მიზნით გააგრძელა სწავლა ჰილვერსუმის კონსერვატორიაში (ჰოლანდია); მიღებული აქვს რამდენიმე პრიზი სხვადასხვა მუსიკალურ კონკურსებში (როტერდამში, ბრიუსელში, ყოფილ ჩეხოსლოვაკიაში). 1993 წლიდან, მას შემდეგ რაც დელ ფეროს კომპოზიტორული ნიჭით ბობ ბრუკმეიერი მოიხიბლა, კიოლნის უნივერსიტეტში დაენიშნა სამწლიანი სტიპენდია კომპოზიციისა და არანჟირების შესასწავლად. როგორც სოლისტმა, აკომპანიორმა, კომპოზიტორმა და არანჟირების ოსტატმა სახელი გაითქვა კონცერტებზე და ფესტივალებზე ისეთ მუსიკოსებთან ერთად, როგორებიც არიან ტოტს ტილემანი, ოსკარ კასტრო ნევესი, სკოტ ჰამილტონი, რიჩარდ გალიანო, ჯგუფ "ფოქსის" წევრი თის ვან ლიერი, ჰაროლდ ლენდი, ნორმა ვინსტონი, ბენი ბეილი, ქენდი დალფერი და სხვ. მაიკ დელ ფერო არ არის მხოლოდ ჯაზ-პიანისტი. იგი მონაწილეობდა მრავალი მუსიკალური მიმდინარეობის პროექტში: დიქსილენდით დაწყებული სალსამდე. დაწერილი აქვს მუსიკა დანიური "ოსკარიტ" დაჯილდოებული ანიმაციური ფილმისთვის B rge Ring.

ამჟამად მაიკ დელ ფერო ტრიოსთან ერთად დღეს "აქარა მიუზიკ ჰოლში" წარმოდგენილი საკონცერტო პროგრამით, "ოპერა ხვდება ჯაზს", სხვადასხვა ქვეყნებში გასტროლიორობს; ზშირად გამოდის ტოტს ტილემანის კვარტეტთან ერთად (მათი უკანასკნელი კონცერტი იაპონიაში, თებერვალში გაიმართა). როგორც American Voices-ის ჯაზ-პროგრამების ხელმძღვანელი, დელ ფერო მონაწილეობს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ კონცერტებში, რომლებიც იმართება ლატვიაში, თურქმენეთში, მიანმარში თუ ვიეტნამში. მუსიკოსის ბოლო ალბომი, "დელ ფერო ასრულებს ბელკანტოს" წელს Universal Music-მა გამოსცა.

კულტურული მემკვიდრეობა ოზიქტივი

კონკურსი ახალგაზრდა ფოტომოყვარულებისათვის



კონკურსის შარშანდელი გამარჯვებულის თამთა ხალვაშის ფოტო

პირა ნაშარიძე

თბილისში მომრავლდნენ ფოტოაპარატის ახალგაზრდები. ფოტოგრაფიით სულ უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება. ამაზე მეტყველებს თუნდაც ქალაქში არსებული პროფესიული სასწავლებელი და სხვადასხვა ფოტოკამოფენებზე მოსული მრავალრიცხოვანი აუდიტორია. თუმცა, ალბათ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პროფესიის შესწავლა, ერთ-ერთი ძვირადღირებული განათლებაა. ასეთ პირობებში საკმაოდ მნიშვნელოვანია კონკურსები თუ შეღავათები, რომელთა წყალობითაც ახალგაზრდებს უადვილდებათ გარკვეული სიძნელების გადალახვა ამ საქმიანობაში.

ერთ-ერთ ასეთ შეღავათად იმ კონკურსსაც მივიჩნევთ, რომლის შესახებაც ახლა ვისაუბრებთ. ხშირად როდესაც კონკურსზეა საუბარი, პირველ რიგში ჯილდოთი ინტერესდებიან ხოლმე. ამიტომ წინასწარ ვიტყვით, რომ ამ კონკურსში არ არსებობს არანაირი ფულადი პრიზი და ჯილდოს სახით არც არანაირი საგზური და ა.შ. თუმცა, გამარჯვებულს შანსი აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურსის ბოლო ტურში, რომელიც ესპანეთში იმართება. მაგრამ, ეს ერთი გასიერება დიდი არაფერია იმასთან შედარებით, რაც 31 ქვეყანაში გაგრცელებულ კატალოგში მოხვედრია. პროფესიული თვალსაზრისით, ალბათ ეს უფრო მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ფოტოგრაფისთვის.

კონკურსი საქართველოში მეორედ

იმართება და მისი ორგანიზატორები თბილისში ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის პროექტებზე მომუშავე ახალგაზრდული ორგანიზაციები არიან. კონკურსის იდეა ევროპაში დაიბადა და მისი ისტორია მოკლედ ასეთია: რვა წლის წინათ პირველად განხორციელდა ყოველწლიური პროექტი "მემკვიდრეობის საერთაშორისო გამოცდილება", სადაც ნებაყოფლობით მონაწილეობს 47 ქვეყანა. ამ პროექტის ფარგლებში კი ოთხი წლის წინათ დაარსდა "ევროპული მემკვიდრეობის დღეები" (European Heritage Days - EHD), ხოლო EHD-ის ეგიდით კატალონიის კულტურის გენერალური დირექტორატის მიერ დაამკვიდრა ყოველწლიური ფოტოკონკურსი (ამიტომ იმართება კონკურსის დასკვნითი ტური ესპანეთში).

კონკურსის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში და ამიტომაც ის საკმაოდ იოლ პირობებს ითვალისწინებს. კონკურსის ორგანიზატორების ერთადერთი მოთხოვნა მონაწილეთა ასაკობრივი ცენზია (23 წლამდე); რაც შეეხება ნამუშევრებს, ისინი რასაკვირველია უნდა პასუხობდნენ კულტურული მემკვიდრეობის თემაზე. ანუ, კონკურსისთვის შერჩეული ნამუშევარი შესაძლებელია იყოს როგორც არქიტექტურული ძეგლი, ლანდშაფტები ასევე ორიგინალური ფოტო, რომელიც ახლოს იქნება აღნიშნულ თემასთან (შესარჩევ ნამუშევრებს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში იბარებენ).

თბილისური კონკურსის ორგანიზატორები, გიორგი ჯაში და ირაკლი მეტრეველი შარშანდელი გამოცდილების გათვალისწინებით აპირებენ კონკურსი მომავალში უფრო ინფორმირებული იყოს საზოგადოებისთვის, რაც შარშანდელი ღონისძიების სერიოზული ნაკლი იყო. ამასთან ერთად, დაგეგმილია პროექტთან დაკავშირებული სარგავნიზაციო ქსელის შექმნა. შარშანდელიდან ევროპაში ერთადერთი მონაწილის 21 წლის თამთა ხალვაშის ნამუშევარი გაავაზენეს. ფოტო რასაკვირველია კონკურსის ყოველწლიურ კატალოგში მოხვდა. ამჟამად საკონკურსო ნამუშევრებს თბილისში კომპეტენტური ჟიურიც შეარჩევს. ამჟამად ორგანიზატორები მის შემადგენლობას ამტკიცებენ და მათი სურვილია ფოტოგრაფებთან ერთად ჟიურში ხელოვნებათმცოდნეც იყოს წარმოდგენილი. ასე რომ, თბილისელ ფოტომოყვარულებს არც ისე ბევრი დრო აქვთ, შედეგები თბილისიდან ესპანეთში წაისამდე უნდა გაიგზავნათ.



კალატუართი

ოთხთა ფინალი ახლოვდება

მარკოიშვილის "ბენეტონი" ფინალშია

9-11 მაისს ბარსელონაში გაიმართება ევროლიგის წლევეანდელი გათამაშების ოთხთა ფინალი. ამ მოვლენისთვის ჟურნალისტები ევროპის საუკეთესო კალათბურთელებს გამოავლენენ. გამოკითხვა, რომელიც გუშინ დაიწყო და 22 აპრილამდე გაგრძელდება, ევროპის 16 ყველაზე სასარგებლო კალათბურთელს გამოავლენს. მათ შორის, პირველი ხუთეულისთვის 10 ნომინანტი შეირჩევა. ილბოანთა ვინაობა კი სწორედ ბარსელონაში, ოთხთა ფინალის მსვლელობის დროს დასახელდება. მოკლედ, კატალონიამი დიდი სამზადისა.

მანამდე კი დასასრულს მიუახლოვდა ევროლიგის გათამაშების მეორე ჯგუფური ეტაპი. ბარსელონის საგზურები უკვე მოიპოვეს: მოსკოვის ცსკა-მ, იტალიის კლუბებმა "ბენეტონმა" და "სიენამ". ცნობილია ისიც, რომ ერთი ნახევარფინალი წმინდა იტალიური იქნება: "ბენეტონი" "სიენას" წინააღმდეგ, საქმე ის არის, რომ მანუჩარ მარკოიშვილის "ბენეტონმა" ნეიტ-



ოთხთა ფინალი მოახლოვდა

რალურ მოედანზე ისრაელის "მაკაბის" დამარცხებით (84:83) ჯგუფში ავტომატურად პირველი ადგილი გაიწაღდა. ევროლიგის რეგლამენ-

ტის თანახმად, თუ ოთხთა ფინალში ერთი ქვეყნის ორი გუნდი გააღწევს, ისინი ვალდებული არიან, ერთმანეთს შეხვდნენ. შეგახსენებთ, რომ

მაიკლ ჯორდანი კალატუართს ეთხოვება

ამერიკული კალათბურთის ლეგენდა, მაიკლ ჯორდანი, მესამედ და, როგორც ჩანს, საბოლოოდ გამოეთხოვება აქტიურ კალათბურთს. იგი უკვე 40 წლისაა. მართალია, ასაკი მის შედეგიანობაზე დიდ გავლენას ვერ ახდენს, მაგრამ წლებს მაინც თავისი მიაქვს და ჯორდანიც შეეგუა იმ აზრს, რომ მიმდინარე სეზონი მისთვის უკანასკნელია.

არადა, "ვაშინგტონ ვიზარდ-ზის" ბოლო გამარჯვებამიც ჯორდანმა ლომის წილი დაიღო: მატჩში, რომელშიც დედაქალაქელებმა ვლადიმერ სტეფანიასა და მის გუნდს, "მაიამის" სძლიეს (91:87), "მფრინავი მაიკლი" თავისიანებს 25 ქულით შეეწია. ამ შედეგმა ჯორდანს NBA-ს ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირთა შორის შედეგიანობის მიხედვით პირველი ადგილის შენარჩუნების საშუალება მისცა. მისი საშუალო მაჩვენებელი ერთ მატჩში 30,2 ქულაა, რაც ცრუაით უფრო მეტია, ვიდრე ამერიკული კალათბურთის მეორე ლეგენდის,



ჯორდანი აპრილში წავა

ფეხბურთი

თითო ბატახილ ძვალზე - ათასი დოლარი

გამოჩენილმა ბულგარელმა ფეხბურთელმა ხრისტო სტიოჩკოვმა თავისი საფეხურთო კარიერის დასასრულს ფეხბურთელის მანძილზე დაგროვილი კაპიტალის დაბანდების უჩვეულო ხერხს მიაგნო. ბულგარელი აპირებს, ფული მედიცინაში დააბანდოს. ცნობილია, რომ სპორტსმენებს ხშირად ფარული ავადმყოფობა სჭირთ, რაც მხოლოდ ფართო და საფუძვლიანი სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ ხდება ცნობილი. იმის გამო, რომ ასეთი გამოკვლევა ძალიან ძვირი ჯდება, სპორტსმენებიც იშვიათად იტარებენ. საფუძვლიანი გამოკვლევა უტარდებათ მხოლოდ დამავებულ სპორტსმენებს, რათა ტრავმამ სხვა უარყოფითი შედეგები არ გამოიწვიოს.

მას შემდეგ, რაც სტიოჩკოვმა მეტიყო მოტენილობის მკურნალობის უნიკალურ ჩინურ მეთოდზე, გადაწყვიტა, თავის კოლეგებს ფეხები მოტყხოს. მისი აზრით, ჩინელები, იმის გარდა, რომ შესანიშნავად უმკურნალებენ სპორტსმენს, საფუძვლიან სამედიცინო გამოკვლევასაც



ხრისტო სტიოჩკოვი

ჩაუტარებენ და სხვა ავადმყოფობებისგანაც სრულიად განკურნავენ.

ამერიკულ "დი სი იუნაიტედში" მოთამაშე ექიმის პირველი მსხვერპლი გახდა ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ნახევარმცველი ფრედი ლერენე. ბულგარელმა მას ორ ადგილზე მო-

ტყხა ფეხი და მეორე დღესვე ჩინეთში გაუშვა სამკურნალოდ. ბუნებრივია, სტიოჩკოვის საქციელმა ამერიკელებში მხარდაჭერა ვერ პოვა. ამიტომ ფეხბურთელს ზღვარგადასული უხეშობისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და ჯარიმად

"ბენეტონი" ევროლიგის ერთადერთი გუნდია, რომელიც მეორე ეტაპზე არ დამარცხებულია.

რაც შეეხება მოსკოვის ცსკა-ს, ნახევარფინალში რუსების მეტოქე, ალბათ, იქნება მასპინძელი - "ბარსელონა", რომელმაც სტუმრად საბერძნეთის "ოლიმპიკოსს" სძლია (58:55) და იმისთვის, რომ ჯგუფში პირველობა გაიწაღდოს, მინ ვლადიმერ ბოიას სლოვენის "ოლიმპიას" უნდა დააყრევინოს ფარ-ხმალი. თავის მხრივ, გამარჯვება სლოვენიელებსაც ხელს აძლევთ, რადგან პირველი შეხვედრა ბალკანელებს მოგებული აქვთ (72:69). თუმცა, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ პირბობის ერთი მძლავრი არგუმენტი "ბარსელონას" სასარგებლოდ. ვინაიდან ოთხთა ფინალი კატალონიამი ტარდება, ტურნირის ორგანიზატორებისთვის უადრესად არახელსაყრელი იქნება, თუ "ბარსელონა" იქ ვერ ითამაშებს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ მეოთხე ვაკანტურ საგზურს სწორედ კატალონიური კლუბი მოიპოვებს.

უოლტ ჩემპერლენის საშუალო შედეგიანობა – 30,1 ქულა ერთ შეხვედრაში.

ჯორდანის კარიერის "გედის სიმღერას" მთელი ამერიკა ეხმაურება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მაიკლს არასდროს უთამაშია სტეფანიას გუნდში, "მაიამი ჰიტში", მაია-მელებმა თავიანთი გუნდის 23-ნომრიანი მაისურა სამუდამოდ "დაუკანონეს" ჯორდანს და ამ ნომრით "მაიამი ჰიტის" შემადგენლობაში ამიერიდან ველარავინ ითამაშებს.

მაიკლ ჯორდანს კარიერაში ბოლო სამი მატჩი დარჩა ჩასატარებელი. მისი "ვაშინგტონი", რომელიც, ძირითადად, მაიკლის ფანტასტიკური თამაშის ხარჯზე მოხდა "სლოიოფში", დღეს "ატლანტას" ეთამაშება, 14 აპრილს "ნიუ-იორკს" უმასპინძლებს, ხოლო 16 აპრილს "გოლადელფიასთან" გამართავს მატჩს. არაისი გაუკვირდება, თუ გაიგებს, რომ სამივე ამ შეხვედრაზე სრული ანშლაგი იქნება: ყველა ბილეთი ერთი კვირის წინ გაიყიდა.

2000 დოლარის გადახდაც დაავალეს. ჯარიმა გაცილებით მეტი და მკაცრი იქნებოდა, მაგრამ ამერიკულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ფეხბურთელი ბოროტი განზრახვით არ მოქმედებდა.

"სტიოჩკოვმა ფეხბურთელებისთვის დხმარების განევის უცნაურ მეთოდს მიაგნო. ფფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, მათი დახმარების მსურველს ასეთი მძიმე ტრავმა არ მიეყენებინა ფეხბურთელებისთვის. ან, უკეთეს შემთხვევაში, რამდენიმე სპორტსმენისთვის საფუძვლიანი გამოკვლევის თანხა გადაეხადა. ასე გაცილებით მეტ სპორტსმენს და მათ გულშემატკივარს მოიმადლიერებდა", - ნათქვამია ბულგარელი ფეხბურთელის კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

გასაკვირია, მაგრამ ბულგარელის საქციელი ბევრმა გაამართლა. ამერიკელთა აზრით, რომელმაც სპორტსმენმა, შესაძლოა, არ მიიღოს სტიოჩკოვის ფინანსური დახმარება, ტრავმის მიღების შემთხვევაში კი იძულებული იქნება, ასე მოექცეს.

ვირველია, არ მწამს, რომ ის სისწრაფით "ფერარისა" და "მაკლარენს" კონკურენციას გაუწევს". ერთი სიტყვით, "ფერარის" ირგვლივ ჭორ-მართალი არ წყდება.

ჯერ კიდევ შარშან გაუჩნა ინფორმაციაზე ზუან პაბლო მონტოიას იტალიურ გუნდში გადასვლის შესახებ. მაშინ კოლუმბიელმა ეს ცნობა უარყო და განაცხადა, რომ "ფერარის" მითი მისთვის მაგური ძალით არ გამოირჩევა. ახლა კი მონტოიას დამოკიდებულება შეიცვალა.

"ფერარიში" გადავიდოდი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იქიდან მიხაელ შუმახერი აპარგდება. შუმახერის წასვლა, ალბათ, გუნდის მთავარი ფიგურების ცვლილებასაც გამოიწვევს, მაგრამ ეს უფრო მეტ სტიმულს მომცემს, "ფერარი" გამარჯვებისთვის ვიბრძოლო. მე აუცილებლად გადავიდოდი "ფერარიში" და ჩემთვის სულერთია, რა მდგომარეობაშია გუნდი", - ამბობს ზუან პაბლო მონტოია.

მონტოია მიიჩნევს, რომ მას შეუძლია, არანაკლებ დიდი გავლენა იქონიოს გუნდზე, ვიდრე მიხაელ შუმახერს აქვს. "ეფიქრობ, დიდი საიმოვნებაა, თვითონ შექმნა გუნდი და შემდეგ მასთან ერთად გაიმარჯვო", - აცხადებს კოლუმბიელი.

ინფორმაცია

ალ ფაიადის კიდეა ერთი კანდიდატურა

უკვე ყველამ იცის, რომ ფრანგი ჟან ტიგანა სეზონის დამთავრებისთანავე დატოვებს ლონდონის "ფულემის" თავკაცის პოსტს. ტიგანას შემცვლელად ინგლისურ სპორტულ პრესას ჯერ "ჩელსის" ექს-ხელმძღვანელი ჯანლუკა ვიოალი ესახებოდა, ახლა კი ცნობილი გახდა, რომ კლუბის პატივონი, ეგვიპტელი მილიონერი მუჰამედ ალ ფაიედი, ვიალის გარდა, კიდევ რამდენიმე ცნობილი სპეციალისტის კანდიდატურას განიხილავს.

დევიდ ო ლირი, ჯორჯ ბარლი და ლუის ვან გაალი ის სახელებია, ვინც ვიოალის "ფულემის" ხელმძღვანელობას ეცილება. ლონდონში ყველაზე სერიოზულ კანდიდატებად მიიჩნევენ იტალიელ ჯანლუკა ვიალის და პოლანდიელ ლუის ვან გაალს, რომელიც "ბარსელონას" დატოვების შემდეგ ჯერაც უშუშე-ვარია. სხვათა შორის, ვან გაალს ძალიან უნდა "ფულემში" მუშაობა. ჰოლანდიელმა განაცხადა, რომ თუ მუჰამედ ალ ფაიედი მის მინვევას გადაწყვეტს, უარს ნამდვილად არ იტყვის.

ბასლარი მოდელის კარიერას იწყახს

ხუთშაბათს ჰამბურგში გაიმართა დიზაინერ პეტრა ტოიფელის მოდების ჩვენება, რომელიც განსაკუთრებით საინტერესო იყო იმით, რომ პროფესიონალ მოდელებთან ერთად ახალი კოსტუმების დემონსტრირება ფეხბურთელებმაც მოახდინეს. "კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი მარიო ბასლერი და "ჰამბურგის" ფეხბურთელები, ნაცრისფერ კოსტუმებში გამოწყობილი სერგეი ბარბარისი და როდოლფო კარდოზო, თავმოშორნედ დააბეჯედუნენ პოდიუმზე და მოდელის ამპლუაში სულაც არ გერძობდნენ თავს შებოჭილად.

როცა მარიო ბასლერი ორ მომხიბვლელ ქალბატონთან ერთად გამოჩნდა პოდიუმზე, დეფილზე შეკრებილი ცხრაასი მაყურებელი ძალიან გახალისდა. პუბლიკამ "სუპერმაროის" დიდი ოფიცია გაუშარბა. ბასლერი მოდების ჩვენებაში მონაწილეობით დიდად ემცაოფილიო დარჩა და განაცხადა, პოდიუმზე სიარული ძალიან მომეწონა, იმედია, შემდეგ დეფილზეც მომინვევენო...

"ბაიერნი" ორ მილიონს შეაღებაა

როგორც იქნა, დასრულდა ის აფიოტაჟი, რაც მიუნხენის "ბაიერნის" ირგვლივ იყო ატეხილი ექს-მედიამაგნატ ლეო კირხთან დადებული გაუტეხარი კონტრაქტის გამო, რომლის მიხედვითაც "ბაიერნმა" საარაკო თანხა - 21,5 მილიონი ევრო მიიღო ტელევიზიით მატჩების ჩვენებისთვის, - როგორც თავად მიუნხენელები ამტკიცებდნენ.

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციას დიდხანს არ სჯეროდა, რომ "ბაიერნმა" ეს ფული, მართლაც, იმისთვის მიიღო, რომ კირხის იმპერიას თავისი მატჩების ტელეჩვენების უფლება მიჰყიდა. მიუნხენელებს ამ თანხის უკან დაბრუნებას სთხოვდნენ, მაგრამ "ბაიერნის" ბოსები ჯოტობდნენ. ფრანც ბექენბაუერმა ისიც კი განაცხადა, თუ თავს არ დაგვაგნებენ, "ბაიერნი" იტალიურ სერია A-ში გადავაო...

"ბაიერნის" გერმანელი გულშემატკივრების საბედნიეროდ, ბუნდესლიგამ და კლუბის ხელმძღვანელობამ საერთო ენა გამოიწხეს - მიუნხენური კლუბი კვლავაც გერმანიის ჩემპიონატში ითამაშებს. ორივემ მხარემ დათმო, რის შედეგადაც "ბაიერნი" ორი მილიონი ევროს გადახდას დათანხმდა. ეს არ იქნება არც დავალიანება, არც სასჯელი - მიუნხენელები ამ თანხას საქველმოქმედო მიზნებისთვის გაიღებენ, თანაც, საკუთარი სურვილით. ორი მილიონი ევრო ბუნდესლიგის სოლოდარობის ფონდში წავა. ამას გარდა, "ბაიერნმა", შესაძლოა, სხვა საქველმოქმედო აქციებშიც მიიღოს მონაწილეობა.

ფრანკ და ბარს პრემიერლიგა მოუწდა

კატალონიური "ბარსელონას" ჰოლანდიელი მცველი ფრენკ დე ბური მომავალ სეზონში ინგლისში გადასვლას აპირებს. "ბარსასთან" კონტრაქტი დე ბურს ზაფხულში ეწურება და ჯერ არ იცის, მოისურვებენ თუ არა კატალონიელები მის კლუბში დატოვებას. თუ "ბარსელონა" კონტრაქტის განახლებას არ შესთავაზებს, დე ბურს უკვე ამორჩეული აქვს ის გუნდი, რომელშიც აპირებს თამაშს პრემიერლიგაში გადასვლის შემდეგ. ეს კლუბი "ბლექბერნი" გახლავთ.

"ბლექბერნის" თამაშს რამდენჯერმე ვუყურე ტელევიზორში და ემცაოფილი დავრი. მისი თამაშის მანერა შესანიშნავია. თუ კატალონიელები კლუბში არ დამტოვებენ, დიდი სიამოვნებით გადავალ ინგლისში. უკვე დიდი ხანია, რაც პრემიერლიგაში მიწდა თამაში", - განაცხადა დე ბურმა.

ლოკავი ისევ "ვალენსიაში"

რომის "ლაციოს" ფინანსური მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რომაელებს მთლად დალხინებული ცხოვრება მაინც არა აქვთ. სერჯო კრანიოტის გუნდს წელ-წელა უგროვდება დავალიანებები, რადგან დროულად ვერ ახერხებს ფეხბურთელისთვის ხელფასის გადახდას. სწორედ ამის გამო, შესაძლოა, "ლაციო" თავის არგენტინელ ფორვარდს, კლაუდიო ლოპესს შეელოის.

ლოპესის შეძენა ბევრ ევროპულ გრანდს უნდა, მათ შორის, სერ ალექს ფერგიუსონის "მანჩესტერ იუნაიტედს". გამორიცხული არ არის, რომ სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი ისევ თავის ძველ კლუბში, ანუ ესპანურ "ვალენსიაში" დაბრუნდეს.

"ლაციოს" უცნაური აჰცია

იმის გამო, რომ უეფას თასის ნახევარფინალში რომის "ლაციომ" საშინლად ითამაშა და პირველი მატჩი ოპორტოში "პორტოს" წინააღმდეგ დიდი ანგარიშით წააგო, კლუბის ხელმძღვანელობა შიშობს, რომ, შესაძლოა, მეორე შეხვედრაზე ხალხმა არც კი მოისურვოს სტადიონზე მისვლა. ცარიელი ტრიბუნების წინაშე თამაში რომ თავიდან აიცილონ, "ლაციოს" ბოსები უჩვეულო აქციას აწყობენ - 24 აპრილს ქალებს და ბჭიებს (16 წლამდე) "სტადიო ოლიმპიკოზე" თითქმის უფასოდ შეუძლიათ ვესვლა. "ლაციო"- "პორტოს" მატჩის ბილეთი მათთვის მხოლოდ ერთი ევრო ელირება...

იმათ კი, ვინც ამ კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ უკვე იყიდა ძვირად ღირებული ბილეთი, შეუძლია, სალაროში მივიდეს და ფულის უკან დაბრუნება მოითხოვოს. "ლაციოს" შეფებს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ აქვთ იმედი, რომ გუნდი ფინალში გავა და გულშემატკივრებს მოუწოდებს, ფეხბურთელები გაამხნეონ.

"ნიუკასლს" მილიონები არ ანაებაა

როგორც ინგლისური სპორტული პრესა იუწყება, "ნიუკასლ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა დიდად დაინტერესებული ყოფილა ტურინის "იუვენტუსის" ფრანგი მცველის, ლილიან ტიურამის შეძენით. იმის მიუხედავად, რომ ტიურამი ახალგაზრდა აღარ არის და მოედანზე ძველბურად ვეღარ ირგება, ინგლისელებს მაინც იმდენად მოსწონთ მსოფლიოში და ევროპის ჩემპიონი, რომ მზად არიან, "ბებერ სინიორას" 32 წლის მცველში 20 მილიონი ევრო გადაუხადონ. ამჟამად "ნიუკასლს" მესამე ადგილზეა პრემიერლიგაში. ამ გუნდს მხოლოდ "მანჩესტერი" და "არსენალი" უსწრებენ. ასე რომ, ტიურამისთვის ღირსების შეღახვა სულაც არ იქნება, თუ იტალიის ჩემპიონი გუნდიდან ინგლისის ჩემპიონობისთვის მეტრძოლ "ნიუკასლში" გადავა.

ფორვალა I-ის ალტარანტიპლი ჩამოირანტი?

ვილაცას ეს, შესაძლოა, არარეალურად მოეჩვენოს, მაგრამ საზოგადოება, რომელიც გუშინწინ მიუნხენში შეიკრიბა, ამას სავსებით რეალურად მიიჩნევს. ხუთი ავტომანარმოებლის (GPWC) ორგანიზაციამ მიუნხენში ფორმულა I-ის გუნდებთან გამართა მოლაპარაკება ამის თაობაზე.

შეხვედრაზე GPWC-მა გუნდებს გააცნო თავისი პროექტი "ოპერატიული ხელშეკრულება", რომელიც ორგანიზაციასა და გუნდებს შორის ფინანსურ ურთიერთობას ეხებოდა. როგორც ცნობილი გახდა, ეს ხელშეკრულება ფინანსური თვალსაზრისით რეგულირებს გაცილებით უფრო სარგისიო იქნება, ვიდრე მათი ახლანდელი ხელშეკრულება ბერნი ეკლსტოუნთან. ალბათ, ეს გახდა გუნდებსა და ორგანიზაციას შორის გაფორმებული მემორანდუმის მიზეზი თანამშრომლობის შესახებ.

ჩანს, ეს "ოპერატიული ხელშეკრულება" ეკლსტოუნის შანტაჟისთვის ეფექტური საშუალება იქნება, რომლისგანაც ტელეტრანსლაციიდან შემოსული თანხიდან უფრო მეტს მოითხოვენ. ბრაზილიის გრან-პრის დროს ეკლსტოუნი შეხვდა გუნდების წარმომადგენლებს, თუმცა, ისინი ვერაფრით დაიყოლია ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე ძველი პირობებით.

იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში